



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080115085622219

№ 929

18 / თებერვალი /
2019 წ.

შპს „ავალონის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო“;

ტენდერის ნომერი/გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების რეკვიზიტები: 3.09.2018 № 18/115 (CMR180151511);

შესყიდვის ობიექტი: 50700000 – შენობის მონყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;

მიმწოდებელი: შპს „ავალონი“ (ს/ნ: 405083868);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 19 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო“ 2018 წლის 18 დეკემბრის №5/111 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №10686), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ავალონის“ (ს/ნ: 405083868) მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2018 წლის 3 სექტემბრის № 18/115 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (CMR180151511) ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „ავალონის“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის im.motiashvili@gmail.com მეშვეობით, 2018 წლის 25 დეკემბრის №4472 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად შეასრულა 2018 წლის 3 სექტემბრის № 18/115 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 18 დეკემბრის №8/20-შ/2 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისრა პირგასამტეხლო 230,14 ლარის ოდენობით.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 3 სექტემბერს მხარეთა შორის გამართივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო № 18/115 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (CMR180151511), რომლის თანახმად მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები (მათ შორის, ხელშეკრულების №1 დანართით გათვალისწინებული სექციის შემონებისა და ბზარის აღმოჩენის შემთხვევაში ნაბზარის აღდგენის მომსახურების განწვევა) მისი გაფორმებიდან 70 კალენდარული დღის ვადაში, 2018 წლის 22 ნოემბრისთვის. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 59 392 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 15 იანვარი.

4.2. საქმეში არსებული 2018 წლის 10 დეკემბრის დეფექტური აქტით დგინდება, რომ წყლის გამათბობელი ქვაბის უკანა მეთერთმეტე სექციას აღნიშნებოდა მიკრო ბზარები, რომელიც სექციის გაცხელების პროცესში ფართოვდებოდა და უშვებდა წყალს. ამავე დეფექტური აქტის თანახმად, აღნიშნული ქვაბის სექცია აღდგენას არ ექვემდებარებოდა.

4.3. მიმწოდებელმა 2018 წლის 11 დეკემბრის წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მან ხელშეკრულებით გათვალისწინებული წყლის გამათბობელი ორი ქვაბიდან მხოლოდ ერთის შეკეთება შეძლო. მიმწოდებელმა განმარტა, რომ მან ვერ შეძლო მეორე ქვაბის შეკეთება, რამდენადაც ქვაბის სექციები დამზადებული იყო თუჯისგან და წნევას ვერ გაუძლო. ამასთან, მიკრო ბზარები სექციას ჰქონდა მიუდგომელ ადგილას. ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას შესთავაზა ქვაბის სექციის ახლით ჩანაცვლება.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 18 დეკემბრის № 8/20-შ/2 წერილით დგინდება, რომ ვინაიდან მიმწოდებელმა ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შესრულება (ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა შეადგენდა 37 დღეს) და ამასთან, რამდენადაც მის მიერ წარდგენილი დეფექტური აქტის თანახმად შეუძლებელი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განწვევა, ცალმხრივად შეწყდა ხელშეკრულების მოქმედება და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო 230,14 ლარის ოდენობით.

4.5. საქმეში არსებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 28 295 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების მოცულობის 48%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ავალონი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 3 სექტემბრის № 18/115 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, საქმეში არსებული მიმწოდებლის 2018 წლის 11 დეკემბრის № 8/20-შ წერილთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ მიმწოდებელი ვალდებული იყო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა როგორც თავად აღნიშნავს, მან ვერ შეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განწვევა. ამასთან, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს ხელშეკრულების № 1 დანართზე, რომლის თანახმად, მიმწოდებელს, წყლის გამათბობელზე ბზარის აღმოჩენის შემთხვევაში ნაბზარი უნდა აღედგინა. მიმწოდებელი განმარტავს, რომ მან ვერ შეძლო აღნიშნული ბზარის აღდგენა, რამდენადაც ქვაბის სექციები დამზადებული იყო თუჯისგან, ხოლო მიკრო

ბზარები სექციას ჰქონდა მიუდგომელ ადგილას. აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ მიმწოდებლისთვის წინასწარ იყო ცნობილი შესაკეთებელი ქვაბების მოდელი. ამდენად, არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას შეუსრულა 28 295 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების მოცულობის 48%-ს შეადგენს. ამდენად, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, შპს „ავალონი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

- 1. შპს „ავალონი“ (ს/ნ: 405083868) 2019 წლის 19 თებერვალს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
- 2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე